ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**g-41. 41242143**
თარიღი:**01/08/2024**

სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 16.04.2024წ. №536 განკარგულების და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ივლისის №40-402421163 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას (ს/ნ 239889705) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს (ს/ნ 202504753) გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. სენაკში, ახალგაზრდობის ხეივანის ქ.№7-ში მდებარე, ს/კ 44.01.31.328 უძრავი ქონებიდან შენობის პირველ სართულზე არსებული 119.518კვ.მ ფართი სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონალური ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების სენაკის განყოფილების განსათავსებლად.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი